ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეგობრობის, სიჭაბუკის, სპორტის ზეიმი

●

მზიური აფხაზეთიდან — საქართველოს დედაქალაქში

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 222
(6783)

18

1980 წ.
ნოემბერი,
სამშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან

„ხალხთა მეგობრობის" ესტაფეტას, რომელმაც უკანასკნელი ეტაპი თბილისში შოთა რუსთაველის პროსპექტზე გაიარა, კვირას ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანზე ჰქონდა ფინიში.

სიმბოლური ოლიმპიური ცეცხლი მოედანზე შემოიტანა ოთხი ოლიმპიადის გმირმა ვიქტორ სანეევმა და იგი ხალხთა მეგობრობის მუზეუმს ჩააბარა.

იმ წუთებში ბედნიერ კაცად გრძნობდა თავს საპატიო ესკორტში მყოფი აფხაზეთის კომკავშირის საოლქო კომიტეტის სპორტული და თავდაცვით-მასობრივი მუშაობის განყოფილების გამგე რევაზ გერგედავა. ეს მან შექმნა სიმბოლური ოლიმპიური ჩირაღდანი, რომელიც სტარტიდან ფინიშამდე უნაკლოდ მუშაობდა. ჩირაღდანმა რესპუბლიკის 12 ქალაქსა და რაიონულ ცენტრზე გაიარა. მზიური აფხაზეთიდან საქართველოს დედაქალაქამდე მას აცილებდნენ სხვადასხვა ეროვნებისა და თაობის ადამიანები — შრომის მოწინავენი და სპორტში სახელგანთქმულნი.

ესტაფეტის სტარტზე ცეცხლი აანთეს ორგზის სოციალისტური შრომის გმირმა, ლესელიძელმა კოლმეურნემ პროკოფი სვანიძემ და ჩოგბურთში ევროპისა და სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონმა ალექსანდრე მეტრეველმა. შემდეგ იგი, როგორც მეგობრობის სიმბოლო, ხელიდან ხელში გადადიოდა.

ესტაფეტის მთელ გზაზე ყველგან ეწყობოდა მასობრივი სახალხო ზეიმები, რომლებშიც 200 ათასამდე კაცი მონაწილეობდა, ყველგან ისმოდა შრომასა და სპორტში გამარჯვებულთა პატაკები.

რაც უფრო უახლოვდებოდა ჩირაღდანი რესპუბლიკის დედაქალაქს, მით უფრო მრავლდებოდა მის თანმხლებთა რიცხვი — ყველა ქალაქი და რაიონი დედაქალაქში პატაკისთვის აგზავნიდა თავის საუკეთესო წარმომადგენლებს, რომლებიც თბილისში ერთიან მეგობრულ ოჯახად ჩამოვიდნენ.

ესტაფეტის მონაწილეთა აზრი და გრძნობა გამოხატა საკოლმეურნეო მოძრაობის ვეტერანმა პ. სვანიძემ:

— ესტაფეტამ ბევრი გააცნო და დააახლოვა ერთმანეთს. მან ცხადყო, რომ ჩვენი მეგობრობა მტკიცეა როგორც არასდროს და არ არსებობს ძალა, რომელსაც შეეძლოს საბჭოთა ადამიანების მონოლითური ერთიანობის დაშლა. ეს მეგობრობა თაობიდან თაობას გადაეცემა და მუდამ იცოცხლებს.

(საქინფორმი).

* * *

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ზევით, მარცხნივ — „მეგობრობის ესტაფეტის" მონაწილეებს მიესალმება მიუნხენის ოლიმპიადის ჩემპიონი შ. ჩოჩიშვილი და გზას ულოცავს მათ დედაქალაქისკენ; მარჯვნივ — ესტაფეტა თბილისის ქუჩებში; ქვევით, მარცხნივ — ესტაფეტა ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანზე შემოვიდა, მონაწილეებმა გვირგვინით შეამკეს დიდი ბელადის ძეგლი; სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ვ. სანეევი ესტაფეტას გადასცემს დიდების მუზეუმის დირექტორს თ. ბადურაშვილს.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა მუშების, ინჟინერ-ტექნიკური და შემოქმედებითი, საპროექტო და სამეცნიერო ორგანიზაციების, სამრეწველო საწარმოების, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, კულტურის მუშაკთა, ოლიმპიადა-80-ის საორგანიზაციო კომიტეტის, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების თანამშრომელთა დიდი ჯგუფი, რომელთაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი XXII ოლიმპიადის მომზადებისა და მოსკოვში, ტალინში, ლენინგრადში, კიევსა და მინსკში თამაშების ჩატარების საქმეში.

ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დაჯილდოვდნენ: სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს კავშირგაბმულობის ნაგებობათა ძიებისა და დაგეგმარების სახელმწიფო ინსტიტუტის უფროსი პ. გობეცი, ლენინგრადის საავეჯო გაერთიანება „ნევას" მომპირკეთებელი კ. დანილოვა, XXII ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის გახსნისა და დახურვის სპორტული ნაწილის მთავარი რეჟისორი ბ. პეტროვი, მოსკოვის სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ს. რიხტერი, ლენინგრადის ვოლოდარსკის სახელობის სტამბის მბეჭდავი გ. რუსაკოვი და ოლიმპიური თამაშების გახსნისა და დახურვის ცერემონიალის მთავარი რეჟისორი ი. თუმანიშვილი (თუმანოვი).

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვდა 91 კაცი, ხალხთა მეგობრობის ორდენით — 929, „საპატიო ნიშნის" ორდენით — 1148, შრომის დიდების მეორე ხარისხის ორდენით — 9, შრომის დიდების მესამე ხარისხის ორდენით — 149, მედლით „შრომითი მამაცობისთვის" — 1277 და მედლით „შრომითი წარჩინებისთვის" — 1340 კაცი.

უმაღლესი ლიგა

16 და 17 ნოემბერს გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის 33-ე ტურის კალენდარული მატჩები:

„არარატი" —
„ქაირათი" 2:1

„შახტიორი" —
ცსკა 1:2

„ნეფთჩი" —
„ზენიტი" 0:2

„ჩერნომორეცი" —
„ტორპედო" 4:2

„ფახთაქორი" —
„დინამო" მნ. 2:1

□

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონზე გამართული საკავშირო 43-ე საფეხბურთო ჩემპიონატის საბოლოო მატჩის უკანასკნელი გოლი, რომელიც თბილისელმა შენგელიამ „კუბანის" კარში გაიტანა. ეს დინამოელის მე-18 გოლია მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატში.

ა. კოტორაშვილისა და ქ. შანიძის ფოტოები.

● ფეხბურთი

გუშინ კიევის „დინამომ" დაამარცხა მოსკოვის თანაკლუბელები — 2:0, დააგროვა 50 ქულა და 1980 წლის საფეხბურთო ჩემპიონატში პირველი ადგილი გაინაღდა.

გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები. V ევროპულ ჯგუფში იტალიელებმა დაამარცხეს იუგოსლაველები — 2:0. ჩრდილოეთ ამერიკის ზონაში მოსაპარეზე მექსიკისა და კანადის ნაკრები გუნდების მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.



პავლოდარის „ტრაქტორის" ფეხბურთელებმა ბოლო გადასახვლელი მატჩი მოუგეს სამარყანდის „დინამოს" ანგარიშით 3:0 და გაიხსნეს საკავშირო ჩემპიონატის პირველ ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვეს.

● ფეხბურთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სპორტსმენთა წარმატება

◆

ჩემპიონი და პრიზიორები

კაუნასში გაიმართა სოფლის სპორტსმენთა საკავშირო პირად-გუნდური პირველობა ძიუდოში. შეჯიბრებაში მოკავშირე რესპუბლიკების 100-ზე მეტი მოჭიდავე მონაწილეობდა.

გუნდური გამარჯვება მასპინძლებმა მოიპოვეს, II ადგილზე გავიდა რსფსრ-ს ნაკრები; საქართველოს კოლექტივმა, რომელიც „კოლმეურნეს“ სპორტსმენებით იყო დაკომპლექტებული (მწვრთნელი ბ. ქვირია), III ადგილი დაიკავა.

95 კგ წონაში წარმატებით იასპარეზა კასპელმა ფალავანმა ო. ყურაშვილმა. იგი 4-ჯერ გამოვიდა ტატამზე, 3 შეხვედრა წმინდად მოიგო, 1—ქულებით, და ოქროს მედალი მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ ყურაშვილი წლეულს უკვე მეხუთედ გახდა მსგავსი შეჯიბრების გამარჯვებული. II ადგილი დაიკავა დ. ოდიშვილმა (78 კგ, ლენინგორი), ბრინჯაოს მედლებს დაეუფლნენ საჩხერელი ბ. ქუთათელაძე (86) და თელაველი დ. თურმანაული (95). ყველა ზემოჩამოთვლილი ძიუდოისტი შეყვანილია სოფლის სპორტსმენთა საკავშირო ნაკრებში.

* * *

სურათზე: სოფლის სპორტსმენთა საკავშირო პირველობაში ხუთგზის გამარჯვებული ო. ყურაშვილი.

●



როგორც ვიტყობინებოდით, გაიმართა სსრ კავშირის I პირველობა რაკეტების სამოდელო სპორტში. ლენტიანი რაკეტით ასპარეზობაში III ადგილი მოიპოვა თბილისელმა დავით მეტრეველმა.

• • •

სურათზე: დ. მეტრეველი.

სპეციალისტის ტრიბუნა

ვგონებ, დროულია

საკითხის დასმის წესით

დიდმა სამამულო ომმა თვალნათლივ დაგვანახა ხელყუმბარის უდიდესი მნიშვნელობა ახლო მანძილზე მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალის და ტექნიკის დაზიანების საქმეში. ჯერ კიდევ ომის წინა პერიოდში დიდი ყურადღება ექცეოდა ხელყუმბარის შესწავლას და ტყორცნის ხერხების დაუფლებას. სპორტულ ღონისძიებებში მუდამ იყო შეტანილი ხელყუმბარის ტყორცნა, რამაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამ იარაღის მასობრივად ათვისებაში. თითქმის ყოველი მეორე მებრძოლი, როგორც ცოცხალი ძალის, ისე ტექნიკის განადგურებისა და დაზიანების ოსტატი იყო, მათ სახელიც კი შეარქვეს—„ტანკების გამანადგურებელნი“. ჩვენის აზრით ახლაც საჭიროა სპორტის ეს სახეობა — „ხელყუმბარის ტყორცნა“ შეტანილ იქნეს ყველა მცირე და დიდი სპორტული შეჯიბრების პროგრამაში.

დღევანდელ პირობებში მოსახლეობის მომზადებისა და გაწვრთნისათვის შემუშავებულია და ცხოვრებაშიც ინერგება მშთ კომპლექსის ნორმატივები. მასში ხელყუმბარის ტყორცნაც შედის. ჩვენი სამშობლოს თითქმის მთელი მოსახლეობა 14-15-დან 60 წლის ასაკამდე ვარჯიშობს, სწავლობს და აბარებს ამ ნორმატივებს. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, პროფტექსასწავლებლების და საშუალო სპეციალური განათლების ტექნიკუმების მოსწავლეები „დაწყებით სამხედრო მომზადებაში“ სწავლობენ ხელყუმბარას და ეუფლებიან მისი ტყორცნის ილეთებს. არცერთი სამხედრო-სპორტული ღონისძიება არ ტარდება ხელყუმბარის ტყორცნის გარეშე, თუმცა თანამედროვე საბრძოლო ხელყუმბარა ბევრად განსხვავდება იმ სპორტული ხელყუმბარებისგან, რომლითაც ბარდება ნორმატივები და ეწყობა ასპარეზობები.

როგორც ვიცით, დღესდღეობით შეჯიბრებები ამ სახეობაში მიმდინარეობს ძველი — 1915 წლის ხელყუმბარის ნიმუშის მაკეტებით.

ჩვენის აზრით, უნდა შეიცვალოს როგორც ტყორცნის ნორმები, ისე თვით ყუმბარის ძველი ნიმუშიც.

საქმე ისაა, რომ დღეს ჩვენი თავდაცვის ძალების შეიარაღებაში იხმარება 1942-43 წლებში შექმნილი ხელყუმბარები „რგდ-5“, „რგ-42“ და „ფ-1“. ამ სახის ხელყუმბარებს სწავლობს და მისი ტყორცნის ხერხებს ეუფლება სსრ კავშირის მოსწავლე ახალგაზრდობა. განსხვავება კი ამ და ძველი ნიმუშის ხელყუმბარებს შორის დიდია. ჩვენის აზრით, დროულია შეიცვალოს ნორმატივებიც. ახალი ტიპის ხელყუმბარების დამზადება უფრო იოლია და ხელმისაწვდომიც.

აქვე მოგვყავს ხელყუმბარების სახეობები და ტყორცნის ახალ ნორმატივებზე გადასვლის ერთი ვარიანტი:

ვაჟებისთვის — ხელყუმბარა „ფ-1“-ის მაკეტი წონით 600 გრამი; ტყორცნის შეფასების საწყისი მანძილი — 35 მეტრი.

ქალებისთვის — ხელყუმბარა „რგდ-5“ ან „რგ-42“; წონით 310 ან 420 გრამი; ტყორცნის შეფასების საწყისი მანძილი — 30 მეტრი.

ძველი ნორმები და ძველი მაკეტის წონა: ვაჟების — 700 გრამი, საწყისი მანძილი 35 მეტრი, ქალების — 500 გრამი და საწყისი მანძილი 20 მეტრი (ასეთი წონის და სიდიდის ხელყუმბარა არასოდეს ყოფილა შეიარაღებაში).

ვგონებ, ეს საკითხი მსჯელობის ღირსია.

რ. კავსაძე,
თადარიგის მაიორი, თბილისის მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმის სამხედრო სწავლების ხელმძღვანელი, სამამულო ომის მონაწილე, სპორტის ვეტერანი.

გზა განვლილი და გასავლელი

ნარკვევი

„**ვინ** არის ეს შოთა ჩოხიშვილი?“ — დღეს ასეთი კითხვა, რომელიც 1972 წლის ოლიმპიური თამაშების დროს დაისვა, ძალზე უცნაურად ჟღერს. შემდგომში ბევრს წერდნენ მასზე, სხვადასხვა ქვეყნებში ჟურნალისტები აღტაცებული ეპითეტებით ამკობდნენ და ჭიდაობის სამყაროსთვის მანამდე უცნობი ქართველი ჭაბუკის გამარჯვებას სენსაციად მიიჩნევდნენ. მიუნხენის XX ოლიმპიადის იმ დღიდან, როცა საბჭოთა მოჭიდავე ძიუდოს ისტორიაში პირველად ავიდა ოლიმპიური საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე, მისი ყველა სპორტული მიღწევა დეტალურად შუქდებოდა პრესაში. მაგრამ რატომღაც ვფიქრობ, რომ არსად არ ასახულა სრულად ამ ადამიანის ხასიათი, ადამიანისა, რომელმაც გააქარწყლა იაპონელ ძიუდოისტთა უძლეველობის მითი. ამიტომაც, გვერდს ავუვლი შოთა ჩოხიშვილის მაღალ წოდებებს, მრავალ მედალსა და ჯილდოს და ვეცდები ჩემი წერილის გმირსა და მკითხველს შორის შუამავლის მოკრძალებული მისია შევასრულო.

* * *

დათქმული ნიშანი. კისრისტეხით გამორბიან 5 წლის რამაზი და 6 წლის რეზო. შოთა მანქანიდან ვერ ასწრებს გადმოსვლას. ბავშვები კისერზე ეკიდებიან და ისე ეხვევიან, თითქოს შესვენებაზე მოსული მამა წლების უნახავი ჰყავდეთ.

ერთმანეთს არ აცლიან, უყვებიან ახალ ამბებს, ამბობენ ლექსებს და... ჭიდაობენ. დიახ, ჭიდაობენ წესების სრული დაცვით, როგორც უფროსები, რა თქმა უნდა, მამის ხელმძღვანელობით. კიმანოებიც აქვთ. ვინ იცის, როდის ვიხილავთ მათ დიდ ტატამზე, ჯერჯერობით კი... საშინაო ჩემპიონატში გამარჯვებულს მამა თავისი მრავალრიცხოვანი მედლის კოლექციიდან „აჯილდოებს“.

თვითონაც ხომ უფროს ძმასთან ჯემალთან და თანატოლებთან ჭიდილში გაუგო გემო ამ ტემპერამენტიან სპორტის სახეობას. „მაინც ყველას წავაქცევ, აი, ნახავთ“, — ამბობდა შოთა, როცა თვალები ცრემლით ევსებოდა და გული ეკუმშებოდა მარცხის სიმწარისგან. დიახ, ღვლეველი ბიჭის ნორჩ სხეულში ლომის გული ძგერდა და ამის მოწმე დრო გახდა. ამბობენ, იგი ჩემპიონად დაიბადაო, მაგრამ ვინ იცის, როდის მოხდებოდა ეს „დაბადება“, ბორჯომის სატყეო მეურნეობის ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ შოთა ჩოხიშვილს გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში რომ არ გაეგრძელებინა სწავლა და იქ არ შეხვედროდა შესანიშნავ ადამიანს, სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს გურამ პაპიტაშვილს. სწორედ მან მოამზადა შოთა ტატამზე სერიოზული ბრძოლისთვის და როცა დრო დადგა, თავისი აღზრდილი გაიყვანა კიდეც სპორტის დიდ გზაზე. სპეციალისტები გაკვირვებულები ადევნებდნენ თვალყურს, თუ როგორ მიიწევდა გამარჯვებისკენ ათლეტური აღნაგობის, ლამაზი, ძლიერი სპორტსმენი, რომელიც შიშის ზარს სცემდა მედლების უცხოელ მფლობელებს. აი, რას ამბობდნენ მასზე ყოფილი მეტოქეები:

ა. პარიზი (ჰოლანდია) — „ღმერთმა ნუ შემახვედროს მასთან ფინალში“.

ი. ვარგა (უნგრეთი) — „სამწუხაროა, რომ მე გავხდი უნებლიე მიზეზი სერიოზული ტრავმისა, რის შემდეგ შოთას ფეხი თაბაშირში ჰქონდა მთელი წლის განმავლობაში. იგი საუკეთესო ძიუდოისტად მიმაჩნია, ვაფასებ მის ოსტატობას, ძალასა და მამაცობას“.

პ. ბარტი (გფრ) — „ლეგენდარულ საბჭოთა გოლიათთა სიაში გამოჩნდა ახალი სახელი — ჩოხიშვილი! მისი გამარჯვება საბჭოთა ძიუდოისტების გმირობაა“. ამ ლამაზი ჭიდაობის ცნობილი შემფასებელი იაპონელებიც კი აღტაცებული იყვნენ მისი ოსტატობით.

— შოთა მსოფლიოს ყველა ძიუდოისტებისგან განსხვავდება ილეთების მრავალფეროვნებით. ყოველ შეხვედრაში ახალ-ახალს ეძებს და მეტოქეს შავ დღეს აყრის, — ამბობდა სსრ კავშირის ძიუდოისტთა ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი ვ. ანდრეევი.

სისტემატური ვარჯიშები, რომელსაც შოთა არასდროს აცდენდა, შეკრებები, ჩემპიონატები, საერთაშორისო ტურნირები, ხანგრძლივი მოგზაურობები ხელს არ უშლიდა მეცადინეობაში. გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის ფაკულტეტის წარმატებით დამთავრების შემდეგ იგი ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

* * *

— **სპორტული** ბრძოლა, რამდენადაც იგი წესების დაცვით მიმდინარეობს, სახალისოა, — ამბობს შოთა ჩოხიშვილი, — მაგრამ ბრძოლა ბოროტმოქმედების, წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ ძალზე რთული და ბევრად უფრო საპასუხისმგებლოა. როცა სამართლიანობა იმარჯვებს, შენც გამარჯვებული ხარ. იურისპრუდენციაში, ისევე როგორც სპორტში, უნდა იყო ძლიერი, გამბედავი, მგრძნობიარე სხვისი სატკივარის მიმართ. ორ წელიწადზე მეტია, რაც მილიციაში ვმუშაობ და მჯერა, რომ სწორი არჩევანი გავაკეთე.

ამჟამად შ. ჩოხიშვილი შინაგან საქმეთა სამინისტროს გორის მილიციის უფროსის მოადგილედ მუშაობს.

— შოთა ჯერ ახალგაზრდა სპეციალისტია, მაგრამ ჩვენთან მოსვლის პირველი დღიდანვე საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვა,— გვეუბნება გორის მილიციის საქალაქო განყოფილების უფროსი ალექსანდრე გუშარაშვილი, — ჩოხიშვილს რამდენიმე მადლობა აქვს მიღებული, კოლექტივში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს, თეორიულად კარგად არის მომზადებული, კეთილსინდისიერად და ოპერატიულად ასრულებს ყველა დავალებას, ბოლომდე მიჰყავს დაწყებული საქმე. დიდად ემადლიერებიან შოთას ახალგაზრდებიც, რომლებიც ბევრს სწავლობენ თავიანთი კერპისგან. გულწრფელად გვახარებს ის ფაქტი, რომ ჩვენს კოლექტივში მუშაობს ოლიმპიური ჩემპიონი — შესანიშნავი ღვლეველი ფალავანი შოთა ჩოხიშვილი. ზედმეტად მიგვაჩნია ვილაპარაკოთ მილიციის მუშაკთა კეთილშობილურ საქმიანობაზე, რომელიც აღსავსეა მოულოდნელი, საგანგებო შემთხვევებით. საქმისადმი, მოვალეობისადმი ერთგულება, სულიერი სიღრმე და გულითადობა განსაზღვრავს კომუნისტ შოთა ჩოხიშვილის ხასიათს. თანამდებობას, ტიტულებს არ გაუთამამებია იგი. კეთილი, მგრძნობიარე, მორიდებული — ასეთია ჩოხიშვილი ყველასთვის, შინ და გარეთ.

შოთა ჩოხიშვილი 30 წლისაა. ზოგიერთები ამ ასაკში იწყებენ სპორტულ კარიერას, ის კი, როგორც სპორტსმენი, ეთხოვება გულშემატკივრებს, რომელთაც არაერთი სასიხარულო წუთი მიანიჭა. დიახ, 1981 წელს თბილისის ძიუდოისტთა XII საერთაშორისო ტურნირზე სპორტსმენები და სპეციალისტები, მეგობრები და ახლობლები, თანამემამულეები და მისი ტალანტის უცხოელი თაყვანისმცემლები შოთა ჩოხიშვილს გააცილებენ დიდი სპორტიდან. ვინ იცის, იქნებ დაითანხმონ, რომ დარჩეს. ხანგრძლივი შესვენების შემდეგ, რომლის მიზეზი ტრავმა იყო, შოთა კვლავ შეუდგა ვარჯიშს. ასე იქნება თუ ისე, ერთი რამ ცხადია: მისი შემდგომი ცხოვრებაც სპორტს დაუკავშირდება — მისი სახელი ჰქვია მოჭიდავეთა კლუბს გორში, უმისოდ არც ერთი შეჯიბრება არ ჩატარდება იქ, შემთხვევას არ უშვებს — ახალგაზრდა მოჭიდავეებს ასწავლის, უზიარებს ოსტატობის საიდუმლოებას...

• • •

ეს წერილი მსურს დავამთავრო 8 წლის წინათ მიუნხენიდან დ. ივანოვის მიერ გაზეთ „სოვეტსკი სპორტისთვის“ გამოგზავნილი რეპორტაჟის ნაწყვეტით: „იამაყე, საქართველოვ, შენი მამაცი შვილით, იამაყეთ სოფელ ღვლევის მცხოვრებლებო თქვენი თანამემამულით, რომელმაც გააოცა საჭიდაო სამყარო!“

ა. ზენკო.

* * *

სურათზე: აი, ამ გდებამ აიყვანა შოთა მიუნხენის ოლიმპიადის უმაღლეს საფეხურზე.

პნევმატური იარაღით

მინსკის არმიელთა სპორტული კლუბის ბაზაზე ჩატარდა დოსააფის საკავშირო თასის გათამაშება პნევმატური იარაღიდან სროლაში.

„გაქცეულ ტახზე“ ასპარეზობაში კარგად გამოვიდა სოხუმელი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, ქვეყნის ნაკრების წევრი ა. გოროდიანკინი. მან 360 ქულა მოაგროვა და II ადგილი დაიკავა. პირველობა წილად ხვდა მოსკოველ გ. მალუხინს — 372.

პნევმატური პისტოლეტის სროლაში უძლიერესი გახლდათ ქვეყნის ნაკრების წევრი, თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტი, სპორტის ოსტატი კ. კოსმინინი. მან ვარჯიშის ორჯერადი შესრულებით 760 ქულას მოუყარა თავი. კოსმინინი და გოროდიანკინი ქვეყნის ნაკრებში გააგრძელებენ ვარჯიშს.

ასპარეზობაში კარგად გამოვიდა, აგრეთვე საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი თ. სალდაძე. პნევმატური შაშხანის სროლაში იგი მეხუთე იყო.

ლ. ძებნიაური,
სპორტის ოსტატი, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფეხბურთო მარათონის ფინიშზე

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი. 16 ნოემბერი.

„დინამო" (თბილისი) — „კუბანი" (კრასნოდარი) 3:0 (1:0).

„დინამო": გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, თავაძე, დარასელია, ხიზანიშვილი (ქვანია, მე-16 წ.), კაკილაშვილი, ჩელებაძე (მელიქია, 62-ე წ.), ყიფიანი, შენგელია.

„კუბანი": ბალახნინი, პოლოვინკო, გრიშინი, ხენეჩკინი, ჩებოტარიოვი, ერკოვიჩი, მიხაილოვი, კომაროვი, პლოშნიკი, კალეშინი (ეგოროვი, 62-ე წ.), მახანოვი.

მსაჯი ვ. ლიპატოვი (მოსკოვი).

უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის ფინიშის დაძაბულობა წლეულს განსაკუთრებით მესამე ადგილის მაძიებელთა შორის იგრძნობა, ვინაიდან ჩემპიონისა და ვერცხლის პრიზიორის საკითხი თითქმის გარკვეულია და რაიმე ცვლილება ალბათ, არ მოხდება. ბრინჯაოს მედლების პრეტენდენტთა შორის კი დიდი დავაა. უნდა ითქვას ისიც, რომ ეს ბრძოლა ფინიშის მისადგომებთან კი არა, კარგა ხანია დაიწყო და თითქმის ათი ტურია, რაც მიმდინარეობს. ამ ეტაპზე პრეტენდენტები, შეიძლება ითქვას მაქსიმალურად, „დაპროგრამირებულ" შედეგებს აღწევენ, მაგრამ მაინც თავს იჩენს შუა სეზონში ან იქნებ მის დასაწყისში დაკარგული ქულები, რასაც დღეს აშკარად „ბრინჯაოს ფასი" ენიჭება. გულშემატკივრებს ისღა დარჩენიათ, მოთმინებით დაუცადონ საფეხბურთო მარათონის ბოლო მატჩებს, რომლებიც საბოლოოდ გაარკვევს პრიზიორებს.

როგორც ცნობილია, მესამე ადგილისთვის ბრძოლაში მდევრის როლში გამოდის თბილისის „დინამო". მან ჩემპიონატის დასკვნითი ტურის წინ უძლიერესთა ლიგის დებიუტანტი, აგრეთვე მერმის მისი დატოვების ერთ-ერთი კანდიდატი კრასნოდარის „კუბანი" მიიღო. მეტოქეთა სატურნირო მდგომარეობამ გარკვეულად განსაზღვრა თვით შეხვედრის დაძაბულობა, მაგრამ მაინც მასპინძელთა უპირატესობა ყველა რგოლში აშკარა იყო, მათი გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა.

სტუმრებს ფაქტიურად ორად ორი მოთამაშის იმედი უნდა ჰქონოდათ. ესენი იყვნენ მათი კაპიტანი პლოშნიკი და კალეშინი (№ 10), რომელთაც ნახევარმცველი ერკოვიჩის (№ 6) მხარდაჭერით შეეძლოთ სახიფათო მომენტები შეექმნათ გაბელიას კართან, რასაც ისინი ეპიზოდურად ახერხებდნენ კონტრიერიშების შედეგად. რაც შეეხება თბილისელებს, მათ ამ დღესაც ყველაფერი გამოსდიოდათ. შეხვედრის პირველსავე წუთზე მეტოქე საკუთარ ნახევარზე იყო მიჯაჭვული.

მასპინძლები შეტევაზე მთელი ძალებით გადადიოდნენ და ფლანგებიდან ავიწროვებდნენ მოწინააღმდეგეს. ამას ისინი საკმაოდ მაღალ ტემპში ასრულებდნენ და მეკარე ბალახნინს პირველივე წუთებზე გაუჩნდა სამუშაო. მიუხედავად მასპინძელთა ასეთი უპირატესობისა, მეტოქეებმა პირველივე შესაძლებლობის შედეგად ხელსაყრელ პოზიციაზე გაიყვანეს ერკოვიჩი, რომელმაც შორი მანძილიდან ძლიერად დაარტყა დინამოელთა კარში, მაგრამ გაბელია ადგილზე დახვდა ამ ბურთს. ამას მოჰყვა პლოშნიკის ღრმა რეიდი თბილისელთა ზურგში, იგი პირისპირაც გავიდა მეკარესთან, თუმცა ბოლო მომენტში ვერ მოახერხა ბურთის დარტყმა. ამის შემდეგ დინამოელები მთლად დაეპატრონენ მინდორს და „კუბანის" კარს აშკარა საშიშროება შეექმნა. 32-ე წუთზე ჩელებაძე თავით მისწვდა მარჯვენა ფლანგიდან კარის გასწვრივ ჩაწოდებულ ბურთს და შორეული კუთხისაკენ გაგზავნა იგი, მაგრამ მეტოქის ერთ-ერთმა მცველმა თავითვე დააბრუნა ბურთი უკან. აქვე ჩელებაძემ ზუსტად გამოიყენა მსგავსი გადაცემა, ოღონდ იგი ამჯერად მარცხნიდან მიიღო კაკილაშვილისაგან და გახსნა ანგარიში.

შესვენების შემდეგ კრასნოდარელებს გოლის გატანის შესაძლებლობა მიეცათ, როცა მსაჯმა ვ. ლიპატოვმა 11-მეტრიანით დააჯარიმა დინამოელები, მაგრამ გაბელიამ მოიგერია პლოშნიკის დარტყმა. შეხვედრის 70-ე წუთზე კი „კუბანი" თავად დაჯარიმდა პენალტით, შენგელიამ ზუსტად გაგზავნა ბურთი კარის ბადეში, 4 წუთის შემდეგ კი დინამოელთა საუკეთესო ბომბარდირი — შენგელია საჯარიმო დარტყმის შედეგად სწრაფად დაუსხლტა მეთვალყურეებს და თავისი მე-16 ბურთი გაიტანა მეტოქის კარში. ანგარიშით 3:0 გაიმარჯვა „დინამომ", რომელიც ბრინჯაოს მედლებისა და დიდი ანგარიშით მოგებათა სპეციალური პრიზის მოპოვების შანსებს ინარჩუნებს.

ამ მატჩით თბილისელები გამოემშვიდობნენ წლევანდელ დიდ ფეხბურთს. ყოველი გამომშვიდობება კი გარკვეულ სინანულს იწვევს, მაგრამ ამჯერად ყოველგვარ სევდასა და ნაღველზე ზედმეტია ლაპარაკი, ვინაიდან ამ მატჩში, ისევე როგორც სეზონის ფინიშზე, ძლიერად ჟღერდა თბილისელთა თამაში, რაც ოპტიმისტურად განგვაწყობს მომავლისადმი. ასეთი იმედი კი დროის ხანგრძლივობასაც საგრძნობლად ამცირებს და მოდით, ჩვენც მომავლის დიდი რწმენით დაველოდოთ 1981 წლის 4 მარტს, როცა თბილისის „დინამო" ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის პირველ მეოთხედფინალურ მატჩში წარსდგება, რომლის სტარტი მან ასე ჩინებულად აიღო.

უ. ჭიჭინაძე.

* * *

სურათზე: თბილისის „დინამოსა" და კრასნოდარის „კუბანის" შეხვედრაში ანგარიში მასპინძელთა ცენტრფორვარდმა ჩელებაძემ გახსნა — 1:0... და თვითონვე გამოიტანა ბურთი მეტოქის ბადიდან.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

„ავიატორის" წარმატება

დამთავრდა აფხაზეთის პირველობა ფეხბურთში ფიზკულტურის კოლექტივების გუნდებს შორის. უძლიერესის წოდება მოიპოვა სოხუმის „ავიატორის" კოლექტივმა. გუნდს ხელმძღვანელობენ გ. ცაავა და დ. ზანთარია, მის ღირსებას იცავენ: თარბა, ვეკუა, კარტოზია, ცაავა, იოსავა, ქარქაშაძე, წურწუმია, ქოიავა, გოლეთიანი, ხაინდრავა, ჰანტურია, ფაცაცია, სურგულაძე, მამულია, კალანდაძე, ჯლარკავა და სხვანი.

„ავიატორმა" მოიპოვა ყველაზე მეტი გამარჯვება, 24 შეხვედრაში 10 მოიგო დიდი ანგარიშით, ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის წოდება სოხუმის „ბიტოვიკის" წარმომადგენელ ბ. ახალაიასთან ერთად მოიპოვა მ. ფაცაციამ (35-35 გატანილი გოლი).

უნდა აღინიშნოს, რომ „ავიატორის" კოლექტივს დიდ დახმარებას უწევდნენ სოხუმის გაერთიანებული ავიასაწარმოს პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები, პირადად მისი ხელმძღვანელი რ. ტარკილი.

ამ ასპარეზობაში პირველად მონაწილეობდა სოხუმის „ბიტოვიკი" (მწვრთნელი ნ. ილიადი), რომელმაც შეძლო II ადგილის დაკავება. მესამე პრიზიორი გახდა ახალი ათონის „ფსირცხა". უნდა აღინიშნოს, რომ „ფსირცხა" წლიდან წლამდე აუმჯობესებს შედეგებს, მაგრამ დამაფიქრებელია, რომ გუნდში სათანადო სიმაღლეზე არ დგას დისციპლინა, კერძოდ, ამ გუნდის მოთამაშეები ოთხჯერ გააძევეს მინდვრიდან და მსაჯებმა ამდენივეჯერ აჩვენეს ყვითელი ბარათი.

საერთოდ, დისციპლინის მდგომარეობა განვლილ გათამაშებაში არ იყო სახარბიელო. 15 მოთამაშეს დაატოვებინეს მინდორი, ბევრმა დაიმსახურა გაფრთხილება. უდისციპლინობით განსაკუთრებით გამოირჩევიან ოჩამჩირის „სტროიტელი", სოხუმის „ბიტოვიკი", სოხუმის რაიონის „ისკრა", ოჩამჩირის რაიონის „აბრსკილი". ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობაა ოჩამჩირის რაიონის სოფ. ქოჩარის კოლმეურნეობა „საქართველოსა" და გულრიფშის რაიონის ს. შაუმიანის კოლმეურნეობის გუნდებში.

კვალიფიციური, ობიექტური მსაჯობით გამოიჩინეს თავი სოხუმელმა არბიტრებმა გ. გაბისკირიამ, ა. ჭედიშვილმა, რ. შენგელიამ, ს. ტკაჩენკომ, ტ. რახმეტოვმა.

გ. კოლოსიანი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

* * *

სურათზე: სოხუმის „ავიატორის" გუნდი.

სტატისტიკოსის ბლოკნოტში

I ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო გათამაშების ბოლო მატჩი შედგა კიშინიოვში ადგილობრივ „ნისტრუსა" და ვოროშილოვგრადის „ზარიას" შორის. გაიმარჯვა „ნისტრუმ" — 2:1.

* * *

ამავე ტურის მატჩში ლანჩხუთის „გურიასა" და სმოლენსკის „ისკრას" შორის, რომელიც მოიგო „გურიამ" — 3:2 (1:1), გამარჯვებულთაგან 2 ბურთი გაიტანა კოპალეიშვილმა (ერთი — პენალტით) და 1 — ტროიანმა, ხოლო სტუმრების მხრივ — კოვალმა და ერმიჩოვმა.

* * *

უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა სათადარიგო შემადგენლობების ტურნირში გამოტოვებული მატჩი მინსკის „დინამოსა" და დონეცკის „შახტიორს" შორის დამთავრდა ფრედ — 1:1.

I ლიგის გათამაშების საბოლოო ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	წ	ბ.	ქ.
„ტავრია" (სიმფეროპოლი)	46	28	9	9	82—42	65
„დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი)	46	27	8	11	60—47	62
„მეტალისტი" (ხარკოვი)	46	24	12	10	76—40	60
„პამირი" (დუშანბე)	46	23	9	14	62—51	55
„კოლოსი" (ნიკოპოლი)	46	20	11	15	70—47	51
ასკ (ხაბაროვსკი)	46	20	10	16	45—60	50
„დინამო" (სტავროპოლი)	46	23	3	20	64—66	49
„ნისტრუ" (კიშინიოვი)	46	20	8	18	60—55	48
„ისკრა" (სმოლენსკი)	46	18	11	17	50—46	47
„ზარია" (ვოროშილოვგრადი)	46	19	8	19	68—60	46
„გურია" (ლანჩხუთი)	46	18	10	18	68—73	46
„ფაკელი" (ვორონეჟი)	46	17	16	13	49—36	46
„ტორპედო" (ქუთაისი)	46	18	9	19	62—54	45
„კუზბასი" (კემეროვო)	46	18	7	21	61—77	43
„სპარტაკი" (ორჯონიკიძე)	46	17	9	20	43—50	43
ასკ (ოდესა)	46	16	10	20	52—47	42
„სპარტაკი" (ივანო-ფრანკოვსკი)	46	16	10	20	54—67	42
„ჟალგირისი" (ვილნიუსი)	46	15	14	17	50—39	42
„ბუსტონი" (ჯიზაკი)	46	15	12	19	48—61	42
„მეტალურგი" (ზაპოროჟიე)	46	15	11	20	57—67	41
„შინიკი" (იაროსლავლი)	46	14	15	17	51—57	40
„კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი)	46	11	16	19	43—62	34
„სპარტაკი" (ნალჩიკი)	46	8	15	23	35—59	28
„ურალმაში" (სვერდლოვსკი)	46	8	5	33	35—82	21

I ლიგის საგზურისთვის

გასულ კვირას სამტრედიაში გაიმართა ადგილობრივი „ლოკომოტივისა" და კოსტრომის „სპარტაკის" მატჩი. აქ წყდებოდა I ლიგაში გადასვლის საკითხი: სტუმრებს საამისოდ ყოფნიდათ ფრე, სამტრედიელ ფეხბურთელებს კი აუცილებლად ესაჭიროებოდათ გამარჯვება 4 ბურთის უპირატესობით.

მიზანს სპარტაკელებმა მიაღწიეს: მათ ანგარიშით 1:1 დაამთავრეს შეხვედრა და გაინაღდეს I ლიგაში მონაწილეობის საგზური.

საბოლოო მდგომარეობა I ჯგუფში ასეთია:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი"	4	2	1	1	4—7	5
„როტორი"	4	2	0	2	8—5	4
„ლოკომოტ".	4	1	1	2	4—4	3

თამაშობს მსოფლიოს ნაკრები

მსოფლიო „ვარსკვლავების" ნაკრები 17 დეკემბერს ბარსელონაში ხვდება ესპანეთის მრავალგზის ჩემპიონს „ბარსელონას".

ფიფა-მ „ვარსკვლავების" ნაკრების მწვრთნელებად დანიშნა მენოტი (არგენტინა), კლაფი (ინგლისი) და ნეცერი (გფრ), რომლებმაც გუნდში მიიწვიეს: მეკარე პანტელიჩი (იუგოსლავია), მცველები — კალცი, ბეკენბაუერი (ორივე — გფრ), პეცეი (ავსტრია), კროლი (ჰოლანდია), პირი (ესპანეთი). შუა ხაზის მოთამაშეები — მარადონა (არგენტინა), ზიკო (ბრაზილია), კიგანი (ინგლისი), თავდამსხმელები — რუმენიგე (გფრ), კრუიფი (ჰოლანდია), ფრენსისი (ინგლისი) და ბლოხინი (სსრ კავშირი).

ჩემპიონატები, მატჩები, ცხრილები

იტალია

VI ტურში „ინტერმა" შინ მიიღო „რომა", რომელიც წლეულს დიდი წარმატებით თამაშობს. მასპინძლები დამარცხდნენ — 2:4, რის შემდეგ „რომა" 9 ქულით გათამაშების ერთპიროვნული ლიდერი გახდა.

სხვა მატჩებს შორის საინტერესო იყო ტრადიციული „დერბი" ტურინში, სადაც „ტორინომ" სძლია „იუვენტუსს" — 2:1.

8 ქულით მეორე ადგილზეა „ფიორენტინა", 7-7 ქულა მოაგროვეს „ინტერმა" და „კატანძარომ".

ჰოლანდია

მაქსიმალური შედეგით, 10 თამაშიდან 20 ქულით, წინაა „აც-67 ალკმაარი". X ტურში მან ანგარიშით 4:1 დაამარცხა „მაასტრიჰტი". ლიდერს 4 ქულით ჩამორჩება როტერდამის „ფეიენოორდი", 13 ქულა აქვს „ტვენტეს", 12 — „უტრეხტს".

როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, „ალკმაარს" თავის შემადგენლობაში თვალსაჩინო ოსტატები არა ჰყავს, მაგრამ გუნდი გამოირჩევა მეტად შეუპოვარი, კოლექტიური თამაშით.

გფრ

მიმომხილველებს მიაჩნიათ, რომ ახლა ბუნდესლიგაში თამამად შეიძლება ლაპარაკი ორ სუპერკლუბზე — მიუნხენის „ბაიერნსა" და „ჰამბურგერ შპორტფერაინზე". სწორედ მათ შორის მიმდინარეობს ბრძოლა ჩემპიონის წოდებისთვის, დანარჩენი კლუბები კი შესამჩნევად ჩამოუვარდებიან მათ.

XI ტურში ორივე პრეტენდენტმა წარმატებას მიაღწია. „ბაიერნი" თამაშობდა დუისბურგში ამავე სახელწოდების გუნდთან და გაიმარჯვა — 1:0, ხოლო ჰამბურგელებმა შინ გამანადგურებელი დამარცხება აგემეს „შალკე 04"-ს (გელზენკირხენი) — 7:1.

ახლა „ბაიერნს" 20 ქულა აქვს, „ჰამბურგერ შპორტფერაინს" — 18. 16 ქულა მოაგროვა „კაიზერსლაუტერნმა".

ესპანეთი

ლიდერთა სამეული შექმნეს მადრიდის გუნდებმა „რეალმა", „ატლეტიკომ" და „ვალენსიამ".

VIII ტურმა ორ მათგანს მარცხი მოუტანა: „ვალენსია" სტუმრად დამარცხდა „რეალთან" (ვალიადოლიდი) — 0:2, მადრიდის „რეალმა" სევილიაში წააგო ამავე სახელწოდების გუნდთან — 0:1 და მხოლოდ მადრიდის „ატლეტიკომ" შეძლო ამ დღეს მოგება (ქ. ალიკანტეში „ჰერკულესთან" — 2:1).

ახლა VIII ტურის შემდეგ 12 ქულით წინაა „ატლეტიკო". მას ერთი ქულით ჩამორჩება „ვალენსია", ხოლო „რეალი" — ორით.

ინგლისი

ინგლისის ჩემპიონატში წამყვანი გუნდების შეხვედრების არათანაბარი რაოდენობის გამო სატურნირო ცხრილში საკმაოდ ბუნდოვანი მდგომარეობაა.

გასულ წლებთან შედარებით მკვეთრად გააუმჯობესა თამაში ბირმინჰემის „ასტონ ვილამ". XIII ტურში მან შინ სძლია „ბრაიტონ ალბიონს" — 4:1, XIV ტურში სტუმრად მოუგო „საუთჰემპტონს" — 2:1 და 22 ქულით (გუნდმა ყველა მატჩი ითამაშა) პირველ ადგილზეა. პოტენციურ ლიდერად მაინც „იფსვიჩ თაუნი" უნდა ჩაითვალოს, რომელსაც 20 ქულა და 2 გამოტოვებული მატჩი აქვს. მესამე ადგილზეა „ლივერპული", რომელმაც 18 ქულა მოაგროვა და ერთი გამოტოვებული მატჩიც აქვს.

შოტლანდია

IX ტურის შემდეგ ჩემპიონატს 15-15 ქულით სათავეში უდგანან ძველი მეტოქეები — „გლაზგო რეინჯერსი" და „სელტიკი" (გლაზგო).

საჭადრაკო ოლიმპიადის წინ

1. მასპინძლები მზად არიან

1978 წლის შემოდგომაზე ბუენოს-აირესში (არგენტინა) ფიდე-ს კონგრესმა გამოაცხადა, რომ ქალთა IX და ვაჟთა XXIV ოლიმპიადები გაიმართება კუნძულ მალტაზე 1980 წლის 20 ნოემბრიდან 8 დეკემბრამდე და ეს დიდი ღონისძიება იმართება მასპინძელთა საჭადრაკო ფედერაციის თხოვნით. ეს განმარტება აუცილებელი იყო, რადგან ამ პატარა ქვეყანას ოლიმპიადების ჩატარებას ვერავინ დაავალებდა. მალტა კუნძულოვანი რესპუბლიკაა ხმელთაშუა ზღვაში. მისი ტერიტორია შეადგენს 316 კვადრატულ კილომეტრს. აქ ცხოვრობს 400 ათასამდე კაცი.

ყველას აინტერესებდა: რატომ იკისრეს მალტელებმა ესოდენ დიდი ტვირთი? რესპუბლიკის ტურისტული ფირმის „რესტას“ მესვეურებმა ეს ასე განმარტეს:

— მართალია, მალტა არასოდეს გამასპინძლებია მსგავს შეჯიბრებას, მაგრამ მაინც ვიკისრეთ მისი გამართვა. ეს რესპუბლიკის ეკონომიკამაც გვიკარნახა. მოგეხსენებათ, კუნძული მალტა ძირითადად ტურიზმით არსებობს. მაგრამ ბევრი არ იცნობს ჩვენი კუნძულის საინტერესო ისტორიულ ძეგლებს და ბუნების სილამაზეს. ყველაფერს რეკლამა სჭირდება. ალბათ გახსოვთ, 1972 წელს ისლანდიაში მოეწყო მსოფლიო პირველობაზე სპასკი — ფიშერის მატჩი, რამაც დიდად გაუთქვა სახელი ამ ქვეყანას. ვფიქრობთ, ჭადრაკისადმი ხალხების დიდი ინტერესი ხელს შეუწყობს ჩვენს ტურისტულ ბიზნესსაც.

ოლიმპიადის ორგანიზატორებმა ყველაფერი იღონეს, რომ მოჭადრაკეები და ტურისტები კმაყოფილნი დარჩნენ. მათ თხოვნით მიმართეს „დიდ საჭადრაკო სახელმწიფოებს“ — სსრ კავშირს, გფრ-ს, იუგოსლავიას, ინგლისს და სხვებს დახმარებისთვის. ამ ქვეყნების საჭადრაკო ფედერაციებმა ხელი გაუმართეს მალტელებს, მისცეს რჩევა-დარიგება, გაუგზავნეს საჭადრაკო ინვენტარი, კონსულტანტები და სხვ.

კუნძული მალტა მზადაა ოლიმპიელთა მისაღებად. მოჭადრაკეები ითამაშებენ დედაქალაქ ლავალეტში, ხმელთაშუა ზღვის ცენტრის კონგრესების შენობაში, რომლის ცენტრალური დარბაზი ყველაზე გრძელია ევროპაში — 161 მეტრისაა. საინტერესოა ამ შენობის ისტორია. მემატიანენი წერენ, რომ იგი ააგო გამოჩენილმა იტალიელმა ხუროთმოძღვარმა კესარომ 1574 წელს. თითქმის ორ საუკუნეზე მეტი ამ შენობაში მოთავსებული ყოფილა წმინდა იოანეს მალტის რაინდთა ორდენის ჰოსპიტალი. ეს ორდენი შექმნილა 1530 წელს და მერე ნაპოლეონს დაუშლია. მოგვიანებით შენობა განუახლებიათ და დღეს შუასაუკუნეებისა და თანამედროვე არქიტექტურის ნაერთს წარმოადგენს. მალტელების სიტყვით, მონაწილეებს უთუოდ დააინტერესებთ მიწისქვეშა რესტორანი, რომელშიც ერთდროულად ათას კაცს შეუძლია სადილობა. ეს რესტორანი მათ მოემსახურება.

მალტელები დიდი ინტერესით მოელიან მოჭადრაკეებს. მათ კულტურული პროგრამაც მოუმზადეს მრავალრიცხოვან სტუმრებს, რომლებიც ევროპიდან და ამერიკიდან ჩამოვლენ.

ოლიმპიადაზე მონაწილეობის სურვილი გამოთქვა 92 ქვეყანამ. მანამდე ყველაზე მეტი მონაწილე ჰყავდა XXI ოლიმპიადას (ნიცა, 1974 წ.) — 74 ქვეყანა. თუ გავითვალისწინებთ, რომ თითოეულ ვაჟთა გუნდში 6 (ოთხი ძირითადი, ორი სათადარიგო) და ქალთა გუნდში 4 (სამი ძირითადი, ერთი სათადარიგო) მონაწილეა, მაშინ გამოდის, რომ მალტელებს ათასამდე მოჭადრაკე ესტუმრება. მათ აუცილებლად უნდა დავუმატოთ გუნდების ხელმძღვანელები და მწვრთნელები, აგრეთვე მსაჯები.

მალტაში უკვე იმყოფება ორივე ოლიმპიადის მთავარი მსაჯი, დასავლეთგერმანელი დიდოსტატი, საერთაშორისო არბიტრი ლოტარ შმიდტი. ეს გამოცდილი მსაჯი პროფესიით იურისტია. მსაჯობდა 1972 წელს სპასკი—ფიშერისა და 1978 წელს კარპოვ—კორჩნოის მატჩებს. მუშაობის უკეთ წარმართვის მიზნით, მთავარ მსაჯს ხუთი მოადგილე ეყოლება: თითო მსაჯი სსრ კავშირიდან, იუგოსლავიიდან, ინგლისიდან, ავსტრიიდან და მექსიკიდან.

საზოგადოებრიობის დიდ ინტერესს იწვევს ფიდე-ს მორიგი კონგრესი, რომელიც გაიმართება ლავალეტში ოლიმპიადის დღეებში. ამ კონგრესმა უნდა განიხილოს საჭადრაკო ცხოვრების ბევრი საჭირბოროტო საკითხი. მაგალითად, ქალთა და ვაჟთა მსოფლიო პირველობის გათამაშების 1981-84 წლების ციკლის საკითხი, მომდევნო ოლიმპიადების ჩატარების ადგილი. კონგრესი დაასახელებს აგრეთვე ახალ საერთაშორისო დიდოსტატებს, ოსტატებსა და არბიტრებს. მაღალ წოდებებს საბჭოთა მოჭადრაკეებიც მიიღებენ. მაგალითად, ნ. იოსელიანსა და ნ. გურიელს მიეკუთვნებათ საერთაშორისო დიდოსტატის წოდება.

ერთი სიტყვით, კუნძულ მალტაზე დიდი საჭადრაკო ზეიმი იწყება.

თ. გიორგაძე.

პანორამა

გამარჯვება გაიყვეს

ბადენში დამთავრდა ავსტრიის საჭადრაკო ფესტივალის პროგრამით გათვალისწინებული დიდოსტატთა საერთაშორისო ტურნირი.

I-II ადგილები გაიყვეს მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ბ. სპასკიმ და ა. ბელიავსკიმ — 10,5-10,5 ქულა; III ადგილზე გავიდა ჯ. ნანი (ინგლისი) — 10; IV-V ადგილები გაიყვეს რ. ვაპანიანმა და რ. ბირნმა (აშშ) — 9-9.

აღსანიშნავია, რომ დასკვნით ტურში ბელიავსკიმ მოუგო რუმინელ დიდოსტატს ფ. გეორგიუს.

მეცხრე მოგება

კვირას ჩვენი ქვეყნის ქალაქებში გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები. ზედიზედ მეცხრე გამარჯვება მოიპოვა მოსკოვის ცსკა-მ, რომელმაც ამჯერად მინსკის რადიოტექნიკური ინსტიტუტის გუნდი დაამარცხა — 112:85.

სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: „ლოკომოტივი“ (ნოვოსიბირსკი) — „სტროიტელი“ (კიევი) 71:73 (39:39), „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — „სტატიბა“ (ვილნიუსი) 102:82 (50:48), „უნივერსიტეტი“ (ტაშკენტი) — ვეფ-ი (რიგა) — 90:70 (47:29), „კალევი“ (ტალინი) — „ჟალგირისი“ (კაუნასი) — 90:78 (43:43).

ოლიმპიური ჩემპიონის გამარჯვება

მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა — სსრ კავშირის ხელბურთელ ქალთა ნაკრებმა გამარჯვება მოიპოვა ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში. მან ბოლო მატჩი მოუგო იტალიის ნაკრებს — 28:8. მეორე ადგილზე გავიდა საფრანგეთის გუნდი, რომელმაც დაამარცხა მასპინძელთა კოლექტივი — 15:13.

მარათონში მხოლოდ ქალებია...

გაიმართა ტოკიოს II ღია საერთაშორისო მარათონი მხოლოდ ქალებისთვის. ასპარეზობაში წარმატებით გამოვიდა 43 წლის ჯოის სმითი (დიდი ბრიტანეთი). მან 42 კმ და 195 მ 2 საათში, 30 წუთსა და 27 წამში გაიარა. ორი შვილის დედა ამგვარ შეჯიბრებაში შარშანაც უძლიერესი გახლდათ.

მეორე ადგილი მოიპოვა კანადელმა ჟაკლინ გაროუმ (2. 30. 58). ასპარეზობა, რომელშიც 8 ქვეყნის 49 სპორტსმენი ქალი მონაწილეობდა, იყო პირველი დიდი ტურნირი ახალ ოლიმპიურ ციკლში.

სიტყვა კარგ ადამიანზე

◆

დეიდა ელენე

მზის ამოსვლას ასწრებს, დილაადრიან შემოაღებს კარს, მოგვესალმება, მზრუნველად გამოგვესაუბრება, დილის ვარჯიშზე რომ გავალთ, ოთახებს მიალაგებს, ჰაერს გაანიავებს.

საოცრად გულკეთილი ადამიანია დეიდა ელენე. ზოგჯერ ვფიქრობთ ხოლმე, საიდან აქვს ამდენი სითბო, ამდენი ენერგია 70 წელს მიტანებულ ჭაღარა ქალს. სულ იმის ცდაშია, დედობრივი ზრუნვა არ მოგვაკლოს, უყურადღებოდ არ დავრჩეთ. თბილისში, რესპუბლიკური ოლიმპიური მზადების ცენტრის საერთო საცხოვრებელში, სადაც საქართველოს ნაკრები გუნდების წევრები ვცხოვრობთ, ყველა იცნობს დეიდა ელენეს. იგი ხშირად შეჯიბრებებზეც გვესწრება, ტრიბუნებიდან გვამხნევებს და თუ რომელიმე ჩვენგანი გაიმარჯვებს, მის სიხარულს საზღვარი არა აქვს.

ასეა ყოველდღე — შაბათ-კვირასაც ჩვენთან ტრიალებს დეიდა ელენე. თუ ვინმეს ვარჯიშიდან ან შეჯიბრებიდან შეაგვიანდა და სასადილოს კარი დაკეტილი დახვდა, დეიდა ელენე უმასპინძლდება გემრიელი კერძებით, ხშირად აწყობს ჩაის სალამოს.

ქალბატონ ელენეს ხანგრძლივი, ნაყოფიერი საქმიანობა შეუმჩნეველი არ დარჩენიათ სპორტის ხელმძღვანელ ორგანოებს: იგი არაერთხელაა დაჯილდოებული დიპლომებით, ფასიანი საჩუქრებით. მოსკოვის ოლიმპიადის წინ, სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისთვის საქართველოს სპორტკომიტეტმა ელენე ლილუაშვილი სიგელით დააჯილდოვა.

ბ. მექვაბიშვილი, ვ. ბერიშვილი, გ. სითათაშვილი, ა. ჭიჭაძე,

საქართველოს ნაკრების წევრები.

XXII ოლიმპიადა ფოტოსურათებში

თბილისში, გამომცემლობა „მერანის“ დარბაზში, ამას წინათ გაიხსნა საინტერესო ფოტოგამოფენა, რომელიც მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიური თამაშების პერიპეტიებს ასახავს. აქ წარმოდგენილია **საქინფორმის** სპეციალური კორესპონდენტების ნამუშევრები, რომლებიც საკდესის ოლიმპიური ბრიგადის შემადგენლობაში იყვნენ და XXII თამაშების ყველა მნიშვნელოვან ღონისძიებას ესწრებოდნენ.

გამოფენილი 150 ფოტოსურათი მოგვითხრობს მოჭიდავეების, ძალოსნების, ტანმოვარჯიშეების, მშვილდოსნების, კალათბურთელების, მოკრივეების და სხვა სახეობათა წარმომადგენლების ბატალიებზე. დოკუმენტურ მასალებს კარგად ერწყმის ჟანრობრივი ფოტოგრაფია.

ფოტოგამოფენა სპორტის მოყვარულებს დეტალურად აცნობს „ოლიმპიადა-80“-ის მღელვარე დღეებს. გამოფენაზე განსაკუთრებული ადგილი უკავია თამაშებში საქართველოს წარმომადგენლების გამოსვლებს.

დღეს გთავაზობთ 3 ფოტოს საგამოფენო დარბაზიდან. ეს მომენტები ოლიმპიადის დღეებში ფირზე აღბეჭდეს საქინფორმის ფოტოკორესპონდენტებმა **გ. კიკვაძემ** და **ს. ედიშერაშვილმა.** მარცხენა ზედა ფოტოზე აღბეჭდილია მომენტი, როცა ოლიმპიური ჩემპიონი შ. ხაბარელი ავტოგრაფს აძლევს გულშემატკივრებს წითელ მოედანზე. მარჯვენა ფოტოს ავტორმა ასე უწოდა: „როცა მწვრთნელი კმაყოფილია“, ქვედა ფოტო — „ვაშა! ჩვენმა სპორტსმენებმა გაიმარჯვეს“.

საქინფორმის ფოტოები.

ფიგურები ყინულზე

მსოფლიოს ფიგურული სრიალის საუკეთესო ოსტატებმა გაახალეს წლევანდელი სეზონის დიდი სტარტებისთვის მზადება და საერთაშორისო შეჯიბრებებში ჩაებნენ. **კარლ-მარქს-შტადტში** წარმატებას მიაღწია მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა და ოლიმპიადის ოქროს მედალოსანმა ანეტ პოტჩმა (გდრ). მან პროგრამის სამივე სახეობა მოიგო და პირველობა მოიპოვა „ცისფერი მახვილის“ ტურნირში. პოტჩმა ერთეულ ქალთა შეჯიბრებაში სულ 2 საჯარიმო ქულა მიიღო. II ადგილზე გავიდა ახალგაზრდა საბჭოთა ოსტატი ს. ფრანცუზოვა — 6,4, მესამე იყო პოტჩის თანამემამულე ი. ვირტი — 7,4, რომელმაც ნებისმიერ პროგრამაში ორჯერ შეასრულა სამმაგი ხტომი. ვაჟთა შორის პირველობა მოიგო გ. გლოვანიმ (პოლონეთი).

ჩეხოსლოვაკიის ქალაქ **ბანსკა-ბისტრიცაში** ძალებს იუნიორები ცდიდნენ. სპორტულ ცეკვებში ყველას აჯობეს ოლიმპიური ჩემპიონის ლ. პახომოვას აღსაზრდელებმა ე. ბატანოვამ და ა. სოლოვიოვმა. ერთეულ ქალთა შორის გამარჯვება იზეიმა ნ. რომანიუკმა (გდრ). აქ მოსკოველი ნ. გურევიჩი მესამე ადგილზე გავიდა. ჭაბუკთა შორის იმარჯვა პეტრე ბარნამ (ჩეხოსლოვაკია). წყვილთა შეჯიბრება მოიგო გდრ-ის დუეტმა (კ. ბარტა და ტ. შრეტერი).

ჰააგაში დამთავრებულ საერთაშორისო შეჯიბრებაზე წარმატებით გამოვიდა ფრანგი ფიგურისტი ჟ.-კ. სიმონი — 1,4 საჯარიმო ქულა.

რედაქტორი ა. ბასილაია.

25 ნოემბერს, ქ. თბილისში „განთიადის“ მძლეოსნობის სასახლის სააქტო დარბაზში ჩატარდება

„განთიადის“ ცენტრალური საბჭოს VII პლენუმი.

დღის წესრიგი:

1. მოსკოვის XXII ოლიმპიურ თამაშებში „განთიადის“ სპორტსმენთა მონაწილეობის შედეგები და საზოგადოების ფიზკულტურული ორგანიზაციების ამოცანები.
2. „განთიადის“ მე-4-დან მე-7 პლენუმამდე განვლილ პერიოდში ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ.
3. ორგანიზაციული საკითხები.

დასაწყისი 12 სთ.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 99-56-47, 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-58; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-55; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო ქორპუსში, ხოშარაულის, 29.

ИНДЕКС 66435

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17

უე 10380